SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | ნოემბერი | 2020 | №4

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

კომპანიის სიახლეები / თანამშრომლები / ქალაქის ამბები / ფოტომატიანე

"საქნახშირმა" მუშაობა ადაპტირებული გრაფიკით განაახლა

თამთა მელუა
კოვიდ სასტუმროს ექიმის რეკომენდაციები | 2

ცქიფურიშვილები - მეშახტეების სამი საამაყო თაობა! | 4

მეშახტეების ანაზღაურება გაიზარდა | 3



ბეჭან წაქაძე: „ყველაფერს გავაკეთებ რომ ნდობა, რომელიც გამომიცხადეთ, 100% გავამართლო | 3

ქალბატონები შახტაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით | 5

“საქნახშირში” სამუშაო პროცესი ადაპტირებული გრაფიკით განახლდა

საქართველოში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, „საქნახშირი“ პერმანენტულად ატარებს თანამშრომლების ტესტირებას და აქტიურად ახორციელებს სადეზინფექციო სამუშაოებს. ნოემბრის შუა რიცხვებში PCR ტესტირება კომპანიის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა, საიდანაც კოვიდ დადებითი აღმოჩნდა 144 ადამიანი. კომპანიის გადაწყვეტილებით, 17 ნოემბერს საწარმოში სამუშაო პროცესი 2 კვირით შეჩერდა. თანამშრომლების ძირითადი ნაწილი იზოლაციაში გადავიდა. ინფიცირებულების კოვიდ სასტუმროებში გადაყვანა სახელმწიფომ უზრუნველყო. გარდა ამისა, შეიქმნა სპეციალური ქოლ ცენტრი, რომელიც ინფიცირებულებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებდა.

14 დღის განმავლობაში შახტების რეკონსტრუქციის საინვესტიციო პროგრამა მთლიანად შეჩერდა. გაჩერებული გახლდათ ქვა-ნახშირის მოპოვებაც, მომპოვებელი უბნები კი ორი კვირის განმავლობაში კონსერვირებული იყო. შახტის მდგომარეობის ყოველდღიურ მონიტორინგს 50 ადამიანი, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით აკონტროლებდა.

27, 28 და 29 ნოემბერს „საქნახშირში“ თანამშრომლების განმეორებითი ტესტირება ჩატარდა. 774 თანამშრომლიდან ვირუსი არ დაუდასტურდა 716 ადამიანს. კომპანიის გადაწყვეტილებით სამუშაო პროცესი 1 დეკემბრიდან განახლდა. სამუშაოები რეგულაციებისა და უსაფრთხოების წესების სრული დაცვით წარიმართება.

აღსანიშნია, რომ სამუშაო პროცესების გაჩერებისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის მიუხედავად, საკონტრაქტო ვალდებულებები „საქნახშირმა“ საწყობებში არსებული მარაგების საშუალებით შეასრულა; გარდა ამისა, მძიმე ვითარებისა და თანამშრომლების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაცდენილი 14 დღის განმავლობაში დასაქმებულებს სრულად გადაუხადოს ხელფასი.

1 დეკემბრიდან, თვითნებური გამოუცხადებლობა ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად და გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კომპანიის შინაგანაწესის შესაბამისად. გაცდენილი დღეების შრომის ანაზღაურება მოხდება მხოლოდ იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სამსახურში საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდებიან (ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური დოკუმენტით უნდა იყოს დადასტურებული).

თამთა მელუა,
წყალტუბოს კოვიდ სასტუმროს ექიმი:

“საქნახშირის” ინფიცირებული თანამშრომლები, სახელმწიფოს ორგანიზებით, წყალტუბოსა და საირმეს კოვიდ სასტუმროებში გადანაწილდნენ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას გამოცდილი ექიმების გუნდი 24 საათის რეჟიმში აკონტროლებს. თამთა მელუა წყალტუბოს კოვიდ სასტუმროს ექიმია და გაზეთ “მეშახტეს” სასტუმროში განთავსებული პაციენტების მდგომარეობის შესახებ ესაუბრა:

“ამჟამად ჩვენს კოვიდ სასტუმროში 29 პაციენტი გადის მკურნალობას. 30 ნოემბრის მონაცემებით, ჩვენი პაციენტებიდან მხოლოდ ერთს დასჭირდა ჰოსპიტალიზაცია.

დანარჩენების შემთხვევაში ვირუსი გართულებების გარეშე მიმდინარეობდა, თუმცა სიმპტომები ზოგიერთს უფრო მეტად ჰქონდა გამოხატული. ძირითადი ჩივილები ყნოსვისა და გემოს დაკარგვა იყო. სასტუმროში 2 ინფექციონისტი, 2 უმცროსი ექიმი და 2 ექთანი მუშაობს. ჩვენ აქ ვცხოვრობთ და 24 საათის განმავლობაში ვაკონტროლებთ ყველა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად ვერევით. სასტუმროს შიდა ტელეფონი აქვს, რომლითაც დღეში რამდენჯერმე ვურეკავთ ყველა პაციენტს და მუდმივი კონტროლის ქვეშ გვყავს. საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გვაქვს პირდაპირი კონტაქტი, სრული აღჭურვილობით და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ინფიცირებულის სახლში გაწერა სიმპტომებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად ხდება. პაციენტი კოვიდ სასტუმროში საშუალოდ 10-დან 14 დღემდე ჩერდება. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც შემიძლია ყველას ვურჩიო არის რაც შეიძლება მეტი სითხის მიღება და ფიზიკური აქტივობა (შეძლებისდაგვარად). ვირუსთან ბრძოლისას ამ ორი რეკომენდაციის გათვალისწინება ნამდვილად მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტიც კია”.

ეკლესიის მღვდელმსახურებმა მეშახტეები დალოცეს

დეკანოზმა მამა გაბრილმა (ოყრეშიძე) ტყიბულში, „საქნახშირის“ ადმინისტაციული შენობის ეზოში არსებულ სამლოცველოში საჯანრმთელო პარაკლისი გადაიხადა. მასთან ერთად მსახურებაში მონაწილეობდნენ ტყიბულის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა იონე (კობახიძე) და ეკლესიის სტიქაროსნები. მოძღვრებმა მეშახტეები დალოცეს და წმინდა ზეთი აცხეს.

პარაკლისის დასრულების შემდეგ მამაომ შახტაში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. საჯანმრთელო პარაკლისს და დაღუპულთა სულების მოსახსენიებელ პანაშვიდს „საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მიხაილ სოცკი, გენერალური დირექტორი ზურამ აღდგომელაშვილი, მეშახტეები და შახტის ადმინისტრაციის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

მეშახტეების ანაზღაურება გაიზარდა

„საქნახშირში“ შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ძირეული ცვლილებები განხორციელდა. შახტების სრული რეკონსტრუქციის გეგმის ფარგლებში მეშახტეებთან არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მათი უშუალო ჩართულობით მოხდა პრიორიტეტულ საკითხებზე მსჯელობა და საწარმოს გამართული მუშაობისთვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღება. ერთ-ერთ ასეთ საკითხს ახალი საშტატო განაკვეთის დამტკიცება და მეშახტეების ანაზღაურების გაზრდა წარმოადგენდა.

ინფრასტრუქტურის განახლების პარალელურად, 2020 წლის სექტემბრიდან ახალი საშტატო განაკვეთი დამტკიცდა და „საქნახშირი“ ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადავიდა. წარმოების ოპტიმიზაციის გათვალისწინებით განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია.

2020 წლის 1 სექტემბრიდან ხელფასები 20%-ით გაიზარდა, ცალკეულ ქვედანაყოფებზე კი ანაზღაურებამ 40%-მდე მოიმატა. მომპოვებელ, მზადებით და სარემონტო უბნებზე ანაზღაურება გამომუშავებით ხდება და ამ მიმართულებით დასაქმებულების ყოველღიური ანაზღაურება საშუალოდ 90-100 ლარი გახდა. საერთო ჯამში, საწარმოს ერთი თვის სახელფასო ფონდი 250 000 - 300 000 ლარით გაიზარდა.

აღნიშნული ცვლილებები დადებითად იმოქმედებს როგორც დასაქმებულების მოტივაციაზე და მათ მატერიალურ მდგომარეობაზე, ისე ქვა-ნახშირის მოპოვებაზე. 2019 წლის 9 თვის მონაცემებით ნახშირის წარმოება 1707 ტონას შეადგენდა, 2020 წლის 9 თვის მონაცემებით კი წარმოება 115875 ტონამდეა გაზრდილი.

შახტების ერთწლიანი მოკლევადიანი განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ჯამში 13 მილიონი ლარია გამოყოფილი.

ბეჭან წაქაძე: „ყველაფერს გავაკეთებ რომ ნდობა, რომელიც გამომიცხადეთ, 100% გავამართლო

ძვირფასო ტყიბულელები, ჩვენო საამაყო მეშახტეებო, მადლობა მინდა გადაგიხადოთ ნდობისთვის და თანადგომისთვის, რომელიც გამომიცხადეთ. დიდი პასუხისმგებლობაა მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა და მათი იმედების გამართლება. ამიტომაც, განსაკუთრებული შემართებით შევუდექი მუშაობას იმ დაპირებების შესასრულებლად, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიისას გავეცი.

მინდა აღვნიშნო, რომ შახტაში სტუმრობა, ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და ემოციური იყო ჩემთვის. ჩემი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში უამრავი ადგილი მოვიარე, უამრავ ადამიანს შევხვდი... თუმცა, ერთი დღის მიწის ქვეშ გატარებისა და მეშახტეებთან შეხვედრის შემდეგ სულ სხვა ემოციებით წამოვედი - ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თქვენი ყოფაცხოვრება გაუმჯობესდეს და ნდობა, რომელიც გამომიცხადეთ, 100% გავამართლო. მიხარია, რომ „საქნახშირში“ ძირეული ცვლილებები დაწყებულია და გეზს, რომელიც საბოლოოდ ელექტროსადგურების გამართულ მუშაობამდე და ქვა-ნახშირის მოპოვების რეკორდულად გაზრდამდე მივყავართ, ვერაფერი შეცვლის.

მჯერა, რომ წარმატებისთვის აუცილებელია მიზანდასახულობა, შეუპოვრობა და დაუღალავი შრომა. საქმეში ბოლომდე უნდა დაიხარჯო და აუცილებლად მიიღებ სასურველ შედეგს. ბიზნესმენს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება უნდა ჰქონდეს - თავისი სიტყვის სიმტკიცე, ნათქვამი სიტყვის შესრულება. თუ ბიზნესმენი სიტყვას იტყვის და არ შეასრულებს, მისი ბიზნესი დაცემისთვისაა განწირული. საარჩევნო კამპანიის დროს უამრავ ადამიანს შევხვდი. ჩემი ოლქის ყველა სოფელი თუ რაიონი მოვიარე და გავიგე რა პრობლემებია ამ კუთხით იმერეთში. ახლა სწორედ მათ გამოსწორებაზე ვმუშაობ. იცოდეთ, რომ პარლამენტში თქვენს ხმას მივაწვდენ და რიგი პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის საკითხს დავსვამ. გვერდით მიგულეთ როგორც რიგითი იმერელი, ვისთვისაც ყველაზე მთვარი ხალხის კეთილდღეობაა.

და ბოლოს, ტყიბული, ისევე როგორც სრულიად საქართველო, ახლა რთული გამოწვევის წინაშე დგას - ჩვენ, ყველა ერთად ვებრძვით ვირუსს. მნიშვნელოვანია, რომ ყველამ დავიცვათ რეკომენდაციები, გავუფრთხილდეთ საკუთარ თავს და გარშემომყოფებს. დარწმუნებული ვარ, ეს რთული პერიოდი მალე გაივლის. ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას გისურვებთ. გვერდით მიგულეთ!

„ძიძიგურის“ შახტაზე ახალი სასადილო გაიხსნა

„ძიძიგურის“ შახტაზე სასადილო გაიხსნა. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გართულებამდე, ახლადგახსნილი სასადილოს მომსახურებით ორასამდე თანამშრომელი სარგებლობდა. „ძიძიგურზე“ სასადილო საბჭოთა დროის მერე აღარ ფუნქციობდა.

მეშახტეები მიესალმებიან სასადილოს გახსნას და კმაყოფილებას გამოთქვამენ გემრიელი კერძებისა და მომსახურეობის გამო. მეშახტე ამირან შოთაძე ამბობს, რომ სასადილოს გახსნით „კარგი ნაბიჯი გადადგა „საქნახშირის“ ხელმძღვანელობამ. გამოყო ადგილი, გარემონტდა და ახალი ინვეტარით აღიჭურვა სასადილო, გადამზადნენ თანამშრომლები. კარგი მომსახურება და გემრიელი კერძებია.“ ბატონმა ამირანმა ასევე დასძინა, რომ კარგი იქნება, თუ აღნიშნული სასადილო დილის საათებშიც იმუშავებს.

ცქიფურიშვილები - მეშახტეების სამი საამაყო თაობა!

ტყიბული მეშახტეების ქალაქია. ტყიბულელების ძირითადი ნაწილი შახტაშია დასაქმებული. „საქნახშირშის“ თანამშრომლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ცქიფურიშვილების ოჯახია. ოჯახის სამი თაობის წარმომადგნელი - მამა, შვილი და შვილიშვილი წლებია შახტაში მუშაობს.

ცქიფურიშვილების მრვალრიცხოვანი ოჯახი ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ საწირეში ცხოვრობს. ოჯახის უფროსი 72 წლისაა, გივი ცქიფურიშვილს მეუღლე, ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი ჰყავს. ბატონ გივის შახტაში მუშაობის ჩვიდმეტწლიანი გამოცდილება აქვს. მისი შვილი, 48 წლის დავით ცქიფურიშვილი შახტაში თხუთმეტი წელია მუშაობს. ბაბუისა და მამის მსგავსად, მეშახტეა 25 წლის გიგაც.

აღსანიშნავია, რომ ბატონი გივის მამა, ვლასი ცქიფურიშივილიც მეშახტე იყო. სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ მაშინდელ ლენინის სახელობის შახტაში სარკინიგზო საქმეზე მუშაობდა. გაზეთი „მეშახტე“ ცქიფურიშვილების სამივე თაობის წარმომადგენლებს გაესაუბრა.

გივი ცქიფურიშვილი: „1968 წელს დავიწყე მუშაობა. 5 წელი ვიმუშავე, პარალელურად ტყიბულის პროფესიულ სასწავლებელში ვსწავლობდი. დავამთავრე ელექტრო ზეინკლის სპეციალობა. შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს. ჯარიდან დაბრუნებულს სხვადასხვა ორგანიზაციაში მომიწია მუშაობა. 2007 წელს კი ისევ ტყიბულის შახტას დავუბრუნდი და გზის მოხელე გავხდი. მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ 1 წელი მომიწია შახტიდან წასვლა. ამჟამად „საქნახშირში“ სპეც პროფილების დამზადებაზე ვმუშაობ, რაც შახტის გამაგრების დამზადების მიწოდებას გულისხმობს.

გიყვართ თქვენი სამსახური?

რა თქმა უნდა მიყვარს, მეშახტეობა ჩემი საყვარელი საქმიანობაა, აქ მრავალი წელი გავატარე, ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი და მეგობრები შევიძინე. შახტა ჩემი მეორე ოჯახია, ყველასთან მეგობრული და კარგი ურთიერთობა მაქვს.

რა თვისებები სჭირდება მეშახტეს?

მეშახტე უნდა იყოს თავისი საქმის მცოდნე და ერთგული, რაც მთავარია, შახტა უნდა უყვარდეს. ტყიბულისთვის დასაქმების ძირითადი ადგილი შახტაა. ადრე, რაიონში სხვა საწარმოებიც იყო, სადაც ხალხი მუშაობდა. დღეს ტყიბულში შახტა რომ არ იყოს ქალაქს ძალიან გაუჭირდებოდა არსებობა.

რა არის მნიშვნელოვანი შახტის გამართული მუშაობისთვის?

პირველ რიგში, შახტაში დასაქმებული უნდა იყოს კარგი სპეციალისტი. ადამიანი როცა იწყებს საქმიანობას, თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ საპასუხისმგებლო საქმეზე მიდის. კარგად უნდა შეისწავოს შახტის საქმე. აუცილებელია ყველამ მაქსიმალურად დაიცვას უსაფრთხოების ზომები.“

ბატონი გივის შვილი, 48 წლის დავით ცქიფურიშვილი თხუთმეტი წელია გზის მოხელედ მუშაობს. დავითმა ტყიბულის ტექნიკუმი დაამთავრა, სპეციალობით ბუღალტერია. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. მისთვის მეშახტეობა საყვარელი საქმიანობაა. როგორც ამბობს, ოჯახის სარჩენად ადრე სხვაგან უწევდა სამუშაოდ წასვლა, ახლა სახლთან ახლოს მუშაობს და საყვარელი ადამიანების დატოვება არ უწევს. მეშახტეობასთან ერთად, დავითი სოფელში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაც არის დაკავებული.

ოჯახის ტრადიციას აგრძელებს გივი ცქიფურიშვილის შვილიშვილი, გიგა ცქიფურიშვილიც. 25 წლის ასაკში შახტაში მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება აქვს. გიგამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და სამთო ტექნიკოსის სპეციალობას დაეუფლა. ჰყავს მეურლე და 2 შვილი.

გიგა ცქიფურიშვილი: „სარემონტო აღდგენითი სამუშაოების უბანში სამთო მუშად ვმუშაობ. პარალელურად ვცეკვავ ტყიბულის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ცხრაჯვარში.“ ქორეოგრაფია ჩემი საყავრელი საქმიანობაა. 13 წლის ვიყავი ცეკვა რომ დავიწყე, უკვე 12 წელია ვცეკვავ, მომწონს და მიყვარს ეს სფერო. ასევე სოფლად ვეწევი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

რატომ დაიწყე შახტაში მუშაობა და რა მოგწონს შენს პროფესიაში?

შახტაში შევიძინე საუკეთესო მეგობრები. ამ საქმემ ისეთ სიტუაციაში გამაცნო ხალხი მიწის ქვეშ, რომ ძალიან დავმეგობრდით. გვიჭირს - ერთად ვართ, გვილხინს - ერთად ვართ, ვშრომობთ - ერთად ვართ. მიხარია, რომ ბევრ კარგ ადამიანთან მიწევს თანამშრომლობა.

ისურვებდი რომ შენმა შვილმა სამთო პროფესია აირჩიოს და ოჯახის ტრადიცია გააგრძელოს?

თუ კარგი ანაზღაურება ექნება და დაფასებული იქნება, ვისურვებდი. ვფიქრობ, ადამიანს არუნდა დასჭირდეს ოჯახის სარჩენად თავისი ქვეყნის, რაიონის და თუნდაც სოფლის დატოვება. თავის კუთხეს, სოფელს უნდა ემსახუროს. თუკი ჩემს შვილს მომავალში აქ ცხოვრების შესაძლებლობა ექნება, მივესალმები რომ სამთო პროფესიას დაეუფლოს.

ტყიბულში „საქნახშირი“ ერთადერთი დიდი დამსაქმებელია. რომ არა ეს კომპანია, ტყიბულს არსებობა გაუჭირდებოდა. მიგრაცია მუნიციპალიტეტში დიდი პრობლემაა და საერთოდ დაიცლებოდა ქალაქი. მადლობა ამ კომპანიას რომ ტყიბულში, მძიმე ეკონომიკურ პირობებში, თავის საქმიანობას ახორციელებს და მრავალი ოჯახის შემოსავლის წყაროა. ჩემი ოჯახიდან „საქნახშირში“ სამნი ვართ დასაქმებულები - ბაბუა, მამა და მე. ფაქტობრივად, აქ მიღებული ხელფასით ვარჩენთ ჩვენს დიდ ოჯახს და არ გვიწევს სოფლიდან სხვაგან წასვლა. სოფელშიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ვეწევით. შახტა რომ არა, სოფლიდან და საკუთარი ოჯახიდან სხვაგან წასვლა მოგვიწევდა (თუნდაც საზღვარგარეთ) და ასე ერთად ვერ ვიცხოვრებდით.

ქალბატონები შახტაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით



"ძიძიგურის" შახტის სატაბელო განყოფილებაში დასაქმებულ ქალბატონებს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. ისინი წლებია საწარმოს ემსახურებიან, რომელიც ერთ დიდ ოჯახად მიაჩნიათ. უყვართ საკუთარი საქმე და სამსახური. გაიცანით ჩვენი საამაყო ქალბატონები:

ნატალია ლაფერაძე პროფესიით ეკონომისტი, საწარმოში 14 წელია მუშაობს. ორი წელი „მინდელის" შახტის სატაბელოს ოპერატორი იყო და თორმეტი წელია „ძიძიგურის" შახტაზე, სატაბელოს უფროსი სპეციალისტია.

მანანა მეტონიძე პროფესიით ეკონომისტია, ქალბატონი მანანაც 14 წელია შახტის თანამშრომელია.

დარეჯან გოგატიშვილი 13 წელია რაც „საქნახშირის" გუნდს შეუერთდა.

ქეთევან ჩხიკვაძე სხვადასხვა სამსახურში საქმიანობის შემდეგ, 2007 წლიდან „საქანახშირის„ თანამშრომელი გახდა.

ნანა ქათამაძე ოცდაშვიდი წელია რაც შახტაშია დასაქმებული. ქალბატონი ნანა სამრეწველო ელექტრო მომარაგებაში მუშაობდა, შემდეგ კი სატაბელო განყოფილებაში, სადაც დღემდე საქმიანობს.

მეგი ბუბაშვილი „საქნახშირში" 2007 წლიდან მუშაობს, ის ექვსი წელია „ძიძიგურის" შახტის სატაბელოს ოპერატორია.

ნინო მდივანმა შრომითი საქმიანობა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში დაიწყო. შემდეგ „საქნახშირის" თანამშრომელი გახდა და უკვე ექვი წელია „ძიძიგურის" შახტაზე მუშაობს.

მაყვალა ჩაფიძე სატაბელო განყოფილებაში 1992 წელს დასაქმდა და მისი საქმიანობა უკვე ოცდარვა წელს ითვლის.

მარინა ჩაფიძე 39 წელია შახტის თანამშრომელია. მან 1981 წელს ნახშირის ხარისხის ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა, სადაც 3 წელი საქმიანობდა, შემდეგ „ძიძიგურის" შახტაზე სატაბელო განყოფილებაში გადავიდა.

რუსუდან ცირეკიძე პროფესიით სამთო ინჟინერია, 40 წელია სამთო საქმეს ემსახურება. სკოლის დამთავრების შემდეგ ის ნახშირის ხარისხის ტექნიკური კონტროლისა და სტანდარტის სამმართველოში მუშაობდა. შემდეგ პირველი კატეგორიის ინჟინერი გახდა. ამჟამად „ძიძიგურის" შახტის სატაბელოს ოპერატორია. ქალბატონი რუსუდანი სამსახურში სოფელ ახალსოფლიდან დადის.

ქალბატონები კმაყოფილებას გამოთქვამენ "საქნახშირში" მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მადლობას უხდიან ადმინისტრაციას სამსახურისთვის და ხელფასების გაზრდისთვის. ასევე კმაყოფილები არიან "ძიძიგურის" შახტაზე სასადილოს გახსნით, სადაც მათ ლიმიტის ფარგლებში უფასო კვების შესაძლებლობა აქვთ. მომავალში ისინი სამუშაო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას მოელიან. შახტაში დასაქმებული ქალბატონები მადლობას უხდიან პროფესიული გაერთიანების წარმომადგენლებსაც, ისინი ხშირად მიმართავენ გაგა ისაკაძეს სხვადასხვა საკითხზე დახმარებისთვის და შესაბამის თანადგომასაც იღებენ.

ტყიბულში ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა დასრულდა

ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი ყოფილი მე-4 ბაღის ტერიტორიაზე აშენდა. 50 ბავშვზე გათვლილი ორსართულიანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობისათვის, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 739 200 ლარი გამოიყო. შენობა და მიმდებარე ტერიტორია ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობაც, გარე ფასადის შეღებვა, გათბობის სისტემის მონტაჟი და შიდა სივრცის რემონტი.

მუნიციპალიტეტს წელს კიდევ ორი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შეემატა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონიდის დაფინანსებით, ასევე განხორციელდა ქალაქის N2 და სოფელ გელათის საბავშვო ბაღების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

ახალი სპორტული მოედანი წერეთლის ქუჩაზე

თანამედროვე ტიპის სპორტული მოედნის მოწყობის გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მერიამ ახალგაზრდების თხოვნის შესაბამისად მიიღო. პროექტი 36 352 ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. მინი სტადიონი შემოიღობა მავთულბადით, დაიგო ბალახის ხელოვნური საფარი და დამონტაჟდა გარე განათების სისტემა.

მომავალ წელს სპორტული მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობაც იგეგმება. პარალელურად, მინი სტადიონის რეაბილიტაცია მოხდა თბილისის ქუჩაზეც.

ტყიბულში წითელი ჯვრის ჰუმანიტარული აქცია განხორციელდა

ტყიბულში, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მხარდაჭერით მორიგი ჰუმანიტარული აქცია განხორციელდა.

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურიმა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მოწოდებული ჰუმანიტარული დახმარება წითელი ჯვრის ტყიბულელ მოხალისეებთან ერთად დაარიგა.

ჰუმანიტარული დახმარება ტყიბულის მუნიციპალიტეტში 100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრ ბავშვებს გადაეცათ (18 წლამდე ასაკის), რომლებიც COVID 19-ით იყვნენ ინფიცირებულები ან თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ.

შინმოვლა - ხანდაზმულებზე ზრუნვის პროგრამა

ტყიბულის მუნიციპალიტეტში უკვე მეორე წელია ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისი ხორციელდება, რომელიც მიზნად ისახავს მარტოხელა და მარტო მცხოვრები მოხუცებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნას.

მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, აღნიშნულ პროგრამაში 30 ბენეფიციარია ჩართული (როგორც ქალაქიდან ისე სოფლებიდან). თითოეულ მათგანს კვირაში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ორჯერ საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების სერვისი მიეწოდება. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, პროგრამას მოხუცების პროდუქტებით უზრუნველყოფის სერვისიც დაემატა, რომელიც ხანდაზმულებისთვის თვეში ერთხელ საჭირო საკვები პროდუქტების მიწოდებას ითვალისწინებს.

ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისის განხორციელება არასამთავრობო ორგანიზაცია „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდმა“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით გასულ წელს დაიწყო. მიმდინარე წლის მარტიდან კი მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური პროექტს დამოუკიდებლად ახორციელებს.

ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მილიონობით წლის წინანდელი გვიმრების ანაბეჭდები ინახება

ინფორმრმაცია და ფოტომასალა მოგვაწოდა ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

წარმოიდგინეთ, 300 მილიონი წლის წინ დედამიწა სულ სხვანაირი იყო. მთელი წლის განმავლობაში ნესტიანი და თბილი კლიმატი სანაპიროსა და ჭაობის მცენარეების სწრაფ ზრდას იწვევდა. გვიმრა ამ მცენარეული საფარის უმეტესობას შეადგენდა. გვიმრა ქვეტყის სახით ყველგან იზრდებოდა.

მცენარეები წყლით დაფარულ ნიადაგზე ცვიოდა, წყალდიდობის დროს, წყალუხვ მდინარეებს წაქცეული ხეები და გვიმრის ქვეტყე ერთ ადგილზე ჩაჰქონდა და მდინარის სილით ფარავდა. გრუნტის ფენებისა და წყლის ზეგავლენით ხეები იწნეხებოდა და მილიონი წლების განმავლობაში, უჟანგბადობის პირობებში, ქვანახშირად გარდაიქმნებოდა.

ამ ხეებში მოქცეული გვიმრის ფოთლები საჭირო პირობების შემთხვევაში ანაბეჭდის სახით რჩებოდა ქვაზე.

ტყიბულის სამხატვრო სკოლა 36 წლისაა!

სამხატვრო სკოლა, რომელიც ქალაქისთვის სავიზიტო ბარათად იქცა, 1984 წელს, ომარ მარგალიტაძის ინიციატივით დაფუძნდა. სკოლის პირველი დირექტორი დურმიშხან ლოსაბერიძე იყო. სკოლამ წლების განმავლობაში არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. მიმდინარე წელს სასწავლო კურსს აქ 105 მოსწავლე გადიოდა, თუმცა პანდემიის გამო, სწავლა დროებით შეჩერებულია. აღსაზრდელების დღის განრიგი დატვირთული და მრავალფეროვანი გახლდათ: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ხატვა, ფერწერა, ქანდაკება, კომპოზიცია, თექა, ბატიკა (აბრეშუმის დამუშავება), ვიტრაჟი (მინის მხატვრული დამუშავება), გობელენი, ხალიჩა, თიხის ნაკეთობების დამუშავება...

წლის განმავლობაში მიღებული ცოდნის დემონსტრირებას ტყიბულის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ეტაპობრივად გამართულ გამოფენებზე ახდნენ ხოლმე. ღონისძიებების ნაწილი სკოლის სივრცეში იმართება, უფრო მასშტაბურ გამოფენებს კი ტყიბულის სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზი მასპინძლობს. დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე სკოლა პედაგოგებითა და მათი გამოცდილებითაც გამოირჩევა. სკოლის ხელმძღვანელი და ამავდროულად მასწავლებელი მირზა ჭელიშვილია, მასწავლებლები კი ბესო აბრამიძე, სოფიო ჯანაშია, იაგო ხუციბერიძე, თეა ქასრაშვილი, ბუხუტი კირკიტაძე და თამარ გაბრიაძე. პერიოდულად, ხელოვნების სფეროს პოპულარიზაციის მიზნით, სამხატვრო სკოლის პედაგოგები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში გამოფენებსა და მასტერკლასებს მართავენ.



პანდემიის გამო სწავლა დროებით შეჩერებულია, მაგრამ იმედია მალე ყველაფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება. ტყიბულის სამხატვრო სკოლას დიდი მიზნები და სამომავლო გეგმები აქვს. მათ შორის არის კერამიკის და მინანქრის დამუშავების სწავლება, გაუმჯობესებული სასწავლო პირობები და ბევრი წარმატებული მოსწავლე. ყოველწლიურად სკოლას წარმატებით ამთავრებს 20-მდე მოსწალე, მათი ნაწილი სწავლას სამხატვრო სასწავლებლებში აგრძელებს.

ილია სულამანიძე ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა!

ტყიბულელმა ილია სულამანეძემ ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატი 100კგ წონით კატეგორიაში ზედიზედ მეორედ მოიგო.

“საქნახშირი” ულოცავს ილიას და ყველა ტყიბულელს ამ დიდ გამარჯვებას!

ფოტომატიანე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
ნოემბერი | 2020 | №4

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის"
კორპორატიული გამოცემა